

სამუშაოს აღწერილობა	
თანამდებობა / პოზიცია	სტაჟიორი - პროექტების კოორდინატორი
სტრუქტურული ერთეული	საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი
პირდაპირი დაქვემდებარება	საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი
არაპირდაპირი დაქვემდებარება	რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ანგარიშვალდებულება	საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი
სამუშაოს მიზნები	
<p>Erasmus+ ინსტიტუციური განვითარების პროექტებით კონსერვატორიის საერთაშორისო პოზიციონირებაზე მუშაობა და დეპარტამენტის ევროპული მიმართულების გაძლიერება ევროკავშირის და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების უმაღლეს სახელოვნებო (და არა მხოლოდ) სასწავლებლებთან თანამშრომლობის გზით. სტაჟიორი აქტიურად იქნება ჩართული საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის ყოველდღიურ საქმიანობაში, რაც მას სამომავლო პერსპექტივების ხედვასა და ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციაში დაეხმარება.</p>	
ძირითადი პასუხისმგებლობა	
<ol style="list-style-type: none"> 1. წამყვან უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული გამოცდილების შესწავლა და გათვალისწინება საქმიანობისას; 2. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ყოველდღიურ სამუშაო პროცესში მონაწილეობა; 3. Erasmus+ პროექტების აპლიკაციების მომზადებაში და დაფინანსებული პროექტების აქტივობების ორგანიზება-ადმინისტრირებაში მონაწილეობა; 4. საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის სამოქმედო გეგმების შემუშავებაში მონაწილეობა; 5. კონცერტებისა და მასტერკლასების, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის სხვა აქტივობების შესახებ მასალის მომზადება სოციალური მედიისა და კონსერვატორიის ვებ-გვერდზე გამოსაქვეყნებლად; 6. სამსახურის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე სხვა დავალებების შესრულება, რომელიც უკავშირდება საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის საქმიანობას. 	
უფლებები	
<ol style="list-style-type: none"> 1. საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციასა და დოკუმენტაციაზე ხელმისაწვდომობა; 2. ეფექტიანი და უსაფრთხო სამუშაო გარემო; 3. წინადადებებისა და ინიციატივების წამოყენება სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით; 4. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“, სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის შიგანაწესისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა; 	
საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კომპეტენციები	
განათლება	აპლიკანტი სასურველია იყოს კონსერვატორიის სტუდენტი ან კურსდამთავრებული. ჰქონდეს მიღებული უმაღლესი სამუსიკო განათლება.
სამუშაო გამოცდილება	სასურველია აპლიკანტს ჰქონდეს Erasmus+ პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება.

	საერთაშორისო გამოცდილება დადებითად შეფასდება.
პიროვნული თვისებები	<ul style="list-style-type: none"> ● გუნდური მუშაობის უნარი; ● პასუხისმგებლობა; ● შემჭიდროვებულ ვადებში დავალებების შესრულების უნარი; ● თვითრეფლექსიისა და ანალიზის უნარი; ● ეფექტური კომუნიკაციის (მოსმენისა და ინფორმაციის გადაცემის) უნარი როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი. ● სტრატეგიული და კომპლექსური აზროვნების უნარი; ● შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომების უნარი; ● შედეგზე ორიენტაციის უნარი.
სპეციფიკური ცოდნა სასურველია	<ul style="list-style-type: none"> ● ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიები; ● Erasmus+ პროგრამა და პროექტებზე მუშაობა; ● ინსტრუქციების, დებულებების და შიდა ინსტიტუციური წესების (მობილობის პროგრამებთან დაკავშირებული) ცოდნა;
ენების ფლობა	ინგლისური ენის C1/C2 დონეზე ფლობა; სასურველია დამატებით ერთი ევროპული ენის ფლობა.
კომპიუტერული პროგრამების ცოდნა	საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა

საჭირო დოკუმენტაცია:

1. პასპორტი;
2. რეზიუმე / CV (მაქს. 2 A4 გვერდი);
3. სამოტივაციო წერილი (ქართულად, მაქს. 1 A4 გვერდი);
4. სასურველია გამოაგზავნოთ ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი:
 - ა) IELTS Academic/IELTS UKVI
an overall score of 7.0 and no section below 6
 - ბ) TOEFL iBT, TOEFL iBT Home Edition and TOEFL iBT Paper Edition.
Score of 20 (scale 0-30) in written test, total score of 100
 - გ) Pearson PTE Academic or PTE Academic Online - Score of 68 (writing 61)

სტაჟირების ხანგრძლივობა: 3 თვე, გაგრძელების პერსპექტივით.

საბუთების მიღების ბოლო ვადა: 2022 წლის 20 სექტემბერი

საბუთები უნდა გამოიგზავნოს შემდეგ მისამართზე: hr@tsc.edu.ge

მეილის სათაურად მიუთითეთ: „სტაჟიორი საერთაშორისო დეპარტამენტში“

შერჩეულ აპლიკანტებს ინტერვიუსთვის დავუკავშირდებით 1 ოქტომბრამდე.